პირველი წრე 20 ქულით

კიევი 21 ივნისი (ტელეფონით ჩვენი კორ) საქართველოსა და უკრაინის დედაქალაქის დინამოელთა მატჩს, რომელიც დღეს კიევის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა მიუხედავად ცუდი ამინდისა, აუარებელი მაყურებელი დაასწრო.

შეხვედრის პირველ წუთებიდანვე მოედანზე გაიმართა უაღრესად დაძაბული და საინტერესო ბრძოლა. თბილისელებმა, რომელთა თავდასხმის რიგებში კვლავ იყო ჯოჯუა (N7) მწვავე იერიშები მიიტანეს მასპინძელთა კარზე და მეკარე მაკაროვს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

კიეველებმა მოიგერიეს სტუმრების პირველი იერიშები და შემდგომში თამაშმა თანაბარი ხასიათი მიიღო.

23–ე წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომლის დროს ბურთი ერთ–ერთ მცველს ხელზე მოხვდა, მსაჯმა ბელოვმა (ლენინგრადი) დაინიშნა 11 მეტრიანი საჯარიმო დარტმა და ვინკოვატოვმა გახსნა ანგარიში.

შესვენებამდე თბილისელებმა კვლავ იგდეს ხელთ ინიციატივა, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. 32–ე წუთზე ერთ–ერთი გარღვევის დროს, ვარდიმიადიმ (#9) აზრიანად გაუჭრა ბურთი კილაძეს (#5) რომელმაც შეუჩერებლივ, ბრწყინვალე დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

თამაშის დამთავრებამდე თბილისის "დინამოს" თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის ორი აშკარა შესაძლებლობა და მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

ამრიგად, თბილისის "დინამომ" დაამთავრა პირველი წრე და 14 თამაშის შემდეგ მოაგროვა 20 ქულა.

ფრედ (1:1) დამთავრდა დუბლიორთა შეხვედრაც.

* * *

16 ივნისს სტალინოში "შახტიორმა" ანგარიშით 4:0 დაამარცხა თბილისის "დინამო".

”ლელო”, 16 ივნისი 1951 წ.